დანართი N1

მომსახურე ბანკის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. ეს წესი განსაზღვრავს კონკურსის ჩატარების წესსა და პირობებს, საკონკურსო კომისიის შექმნის მიზნებს, ამოცანებსა და უფლებამოსილებას.

მუხლის 2. კომისიის შექმნის მიზანი და ამოცანები

1. საკონკურსო კომისიის შექმნის მიზანია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ეროვნული ვალუტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთზე მაღალი საპროცენტო სარგებლის გადამხდელის, ანგარიშების მართვისა და ოპერაციების კონტროლის, აგრეთვე ამ ანგარიშებიდან თანხის გადარიცხვისა და სხვა ოპერაციების შეუფერხებელი, ხარისხიანი მომსახურების განმახორციელებელი მომსახურე ბანკის შერჩევა.

2. საკონკურსო კომისიის ამოცანაა, ამ მუხლის პირველი პუნქტით გასაზღვრული მიზნის განსახორციელებლად, კონკურსის ჩატარება, საუკეთესო წინადადების (როგორც ნაშთის საპროცენტო განაკვეთის კუთხით, ასევე, ძირითადი პირობებით განსაზღვრული მომსახურებების) წარმდგენი საბანკო დაწესებულების გამოვლენა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წინაშე (შემდგომში - მთავრობა) რეკომენდაციის გაწევა.

მუხლი 3. საკონკურსო კომისია და სამდივნო

1. ამ წესის მე-2 მუხლის მიზნებისა და ამოცანების შესრულების მიზნით, იქმნება საკონკურსო კომისია.

2. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია თუ მის სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.

3. საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებას საუკეთესო წინადადების წარმდგენის გამოვლენის, კონკურსის არშემდგარად ან ჩაშლილად გამოცხადების შესახებ, რომელზეც ანგარიშს წარუდგენს მთავრობას.

4. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, თუ ხმები გაიყო, მაშინ გადამწყვეტი ხმის უფლებით სარგებლობს კომისიის თავმჯდომარე. კომისიის წევრს, რომელსაც განსხვავებული მოსაზრება გააჩნია კომისიის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, შეუძლია გამოთქვას კომისიის სხდომაზე, რომელიც აისახება კომისიის საოქმო გადაწყვეტილებაში. კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერს ყველა კომისიის წევრი.

5. საკონკურსო კომისიას ჰყავს თავმჯდომარე, რომელიც:

ა) წარმართავს საკონკურსო კომისიის სხდომებს;

ბ) საკონკურსო კომისიას წარუდგენს პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას;

გ) პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ადგენს პრეტენდენტების მიერ წინადადებების შეთავაზების რიგითობას.

დ) მთავრობას წარუდგენს რეკომენდაციას საკონკურსო კომისიის მიერ გამოვლენილი საუკეთესო წინადადების წარმდგენი საბანკო დაწესებულების გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ.

ე) ასრულებს ამ წესით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებას.

6. კომისიის სხდომაზე განსახილველი საკითხების რიგითობა მტკიცდება კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით.

7. საკონკურსო კომისიის ეფექტური მუშაობისათვის და დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში ხელის შეწყობის მიზნით, იქმნება საკონკურსო კომისიის სამდივნო.

8. საკონკურსო კომისიის სამდივნო უზრუნველყოფს:

№2

ა) პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენას ამ წესის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, ხოლო დადებითი დასკვნის შემთხვევაში, მათ მიღებასა და რეგისტრაციას;

ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (ამ წესის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" – „ზ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული) ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში სამდივნოს წარმომადგენელი გამოსცემს ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ გადაწყვეტილებას, რომელშიც უთითებს ხარვეზზე და აძლევს გონივრულ ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად. ხარვეზის დათქმულ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში პრეტენდენტი უფლებას კარგავს მონაწილეობა მიიღოს კონკურსში;

გ) საკონკურსო წინადადების და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის დალუქულ მდგომარეობაში მიღებას;

დ) საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმების წარმოებას;

ე) პრეტენდენტებისათვის საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წამოჭრილ საკითხებზე კონსულტაციების გაწევას;

ვ) საკონკურსო კომისიის დავალებების შესრულებასა და სხვა პროცედურული საკითხების განხორციელებას.

მუხლი 4. კონკურსში მონაწილეობა

1. საბანკო დაწესებულების უფლებამოსილი პირის ან მისი წარმომადგენლის (შემდგომში - პრეტენდენტი), რომელმაც საკონკურსო კომისიის სამდივნოში, მოთხვნილ ვადაში სრულყოფილად წარმოადგინა ამ წესის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია და გაიარა რეგისტრაცია, დასწრება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსის პროცესზე, ჩაითვლება კონკურსში მონაწილეობად.

2. კონკურსი ჩატარდება ერთ ტურად.

მუხლი 5. კონკურსის მონაწილე

1. პრეტენდენტი შეიძლება იყოს ნებისმიერი საბანკო დაწესებულება, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულია და აკმაყოფილებს ამ წესის მოთხოვნებს. კონკურსში ერთნაირი წინადადების წარდგენის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება უკეთესი ძირითადი და დამატებითი პირობების (იგულისხმება, როგორც დაწესებულების მიმართულებით, ასევე დასაქმებულებისათვის შეთავაზებულ პირობები) წარმომდგენ ბანკს.

2. კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ საბანკო დაწესებულებების წარმომადგენლებმა, რომლებმაც საკონკურსო კომისიის სამდივნოში მოთხოვნილ ვადაში სრულყოფილად წარმოადგინეს ამ წესის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია და გაიარეს რეგისტრაცია.

მუხლი 6. კონკურსის გამოცხადება

1. კონკურსი ცხადდება საჯაროდ. საჯაროდ გამოცხადებაში იგულისხმება საკონკურსო განცხადების განთავსება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე: www.tbilisi.gov.ge-ზე.

2. კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია, გარდა წინარე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულისა, შეიძლება კომისიის მიერ წერილობით ეცნობოს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ საბანკო დაწესებულებებს.

მუხლი 7. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება

1. საკონკურსო განცხადებისა და დოკუმენტაციის მიღება განხორციელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით (შემდგომში - განკარგულება) განსაზღვრულ

დღეებში. საბუთების მიღება საკონკურსო კომისიის სამდივნოში იწარმოებს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 09:30-დან 18:00 საათამდე, შესვენება 13:00 საათიდან 14:00 საათამდე;

2. პრეტენდენტის მიერ კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე განცხადება და სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე. უცხოურ ენაზე შესრულებული დოკუმენტაცია თარგმნილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე და დამოწმებული სანოტარო წესით;

3. პრეტენდენტმა კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე განცხადება და სავალდებულო დოკუმენტაცია უნდა შეიტანოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით შექმნილ საკონკურსო კომისიის სამდივნოში.

4. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) ეროვნული ბანკის მიერ გაცემული საბანკო საქმიანობის შესახებ ლიცენზიის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

გ) ცნობა შესაბამისი დაწესებულებიდან, რომ საბანკო დაწესებულება არ იმყოფება დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმში;

დ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

ე) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ;

ვ) საკონკურსო პირობების შესრულების უზრუნველყოფის ორთვიანი საბანკო გარანტია 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარის ოდენობით;

ზ) საბანკო დაწესებულების უფლებამოსილი პირის ან მისი წარმომადგენლის მონაწილეობის შემთხვევაში, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

თ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს კონკურსის ძირითადი პირობებს (დანართი N2), უნდა იყოს დალუქული ფორმით. პრეტენდენტი შეზღუდული არ არის ძირითადი პირობებით დადგენილზე უკეთესი პირობა შესთავაზოს საკონკურსო კომისიას. პრეტენდენტს არ აქვს უფლება ძირითადი პირობები გააუარესოს.

5. სამდივნო ამოწმებს წარდგენილი დოკუმენტების შესაბამისობას ამ მუხლის მე-4 პუნქტით მოთხოვნილ დოკუმენტაციასთან. სრულყოფილ დოკუმენტაციას ატარებს სპეციალურ სარეგისტრაციო ფორმაში და იბარებს, ხოლო პრეტენდენტს აძლევს მიღების ბარათს.

6. იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამება ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ – „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნებს, საკონკურსო კომისიის სამდივნოს წარმომადგენელი გამოსცემს ხარვეზის დადგენის შესახებ გადაწყვეტილებას, რომელშიც უთითებს გამოვლენილ ხარვეზზე და აძლევს გონივრულ ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად. ხარვეზის დათქმულ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში პრეტენდენტი კარგავს კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლებას;

7. საკონკურსო დოკუმენტები წარმოდგენილ უნდა იყოს ორიგინალის (დედანი) ან ნოტარიულად, სათანადო წესით, დამოწმებული ასლის სახით. პრეტენდენტი სრულად აგებს პასუხს მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების უტყუარობაზე.

8. კონკურსში მონაწილეობისათვის სავალდებულო დოკუმენტების მიღებისათვის გამოცხადებული ვადის ამოწურვის შემდეგ სამდივნო წყვეტს დოკუმენტების მიღებას.

9. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების მიღების ვადის გაგრძელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ საკონკურსო კომისიის შუამდგომლობით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას.

10. მიღებული დოკუმენტები და სარეგისტრაციო ფორმა კონკურსის დაწყებამდე ინახება საკონკურსო კომისიის სამდივნოში.

მუხლი 8. კონკურსის ჩატარების წესი

ბ ი ლ ი ს ი ს ა ბ ა ნ კ ო ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ი ს ლ ი ც ე ნ ზ ი ა ს ა ქ ა ნ ლ ი ს ბ ა ნ კ ი
№2

1. კონკურსი ჩატარებულად ითვლება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს ერთი პრეტენდენტი მაინც.

2. საკონკურსო კომისიის წევრები და პრეტენდენტები ცხადდებიან შესაბამისი განკარგულებით განსაზღვრულ დროსა და ადგილას. პრეტენდენტები კონკურსის დაწყებამდე გაივლიან რეგისტრაციას საკონკურსო კომისიის სამდივნოში.

3. პრეტენდენტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირმა თან უნდა იქონიოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის საზღვარგარეთის პასპორტი).

4. საკონკურსო კომისიის სამდივნო ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საფუძველზე ამოწმებს წარმოდგენილი პრეტენდენტის წარმომადგენლის უფლებამოსილებას მიიღოს მონაწილეობა გამართულ კონკურსში.

5. რეგისტრაციის დამთავრების შემდეგ საკონკურსო კომისიის სამდივნო საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს წარუდგენს შემოსული განცხადებების ოდენობის შესახებ და კონკურსის დღეს რეგისტრაცია გავლილი (გამოცხადებული) პრეტენდენტების შესახებ ინფორმაციას.

6. საკონკურსო კომისიის სხდომას ხსნის და დახურულად აცხადებს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.

7. სარეგისტრაციო ფორმაში აღნიშნული რიგითობის მიხედვით საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე საკონკურსო კომისიას წარუდგენს პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციას.

8. საკონკურსო კომისია აფასებს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ საკონკურსო წინადადების კონკურსის ძირთად პირობებთან შესაბამისობას, რის შემდეგ ხმათა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას დამაკმაყოფილებელია თუ არადამაკმაყოფილებელია პრეტენდენტის საკონკურსო წინადადება. არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში პრეტენდენტი კარგავს კონკურსში მონაწილეობის უფლებას. თუ კონკურსზე მონაწილე ყველა პრეტენდენტის საკონკურსო წინადადება შეფასდა არადამაკმაყოფილებლად, მაშინ კონკურსი ცხადდება ჩაშლილად.

9. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, პრეტენდენტთა მიერ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტაციის კომისიაზე განხილვის შემდეგ, კონკურსის მონაწილეებს გააცნობს ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთის წარმომდგენ კონკურსანტს და რიგითობის მიხედვით (ყველაზე მცირე საპროცენტო განაკვეთის წარმომდგენიდან ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთის წარმომდგენამდე) სთავაზობს გააკეთონ წინადადება საპროცენტო სარგებლის განაკვეთის გაზრდის შესახებ. ბოლო განაცხადს აკეთებს ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთის წარმომდგენი პრეტენდენტი.

10. პრეტენდენტებს უფლება აქვთ შეცვალონ მათ მიერ კომისიაზე წარმოდგენილი პირვანდელი წინადადება შეზღუდვის გარეშე (ნებისმიერი ბიჯით), მაგრამ ის უნდა იყოს კონკურსში მონაწილეთა მიერ განცხადებულ წინადადებაზე უმჯობესი.

11. კონკურსში ერთი პრეტენდენტის არსებობისას კომისია მონაწილე პრეტენდენტის თანდასწრებით სწავლობს მის მიერ წარმოდგენილ წინადადებას ერთობლიობაში (როგორც ნაშთზე დასარიცხი სარგებლის, ასევე ძირითადი პირობებით გათვალისწინებული მოთხოვნების მიმართულებით), რის შემდეგ პრეტენდენტს აძლევს შესაძლებლობას დამატებით გააუმჯობესოს შემოთავაზებული წინადადება. წინადადების მიღების დასრულების შემდეგ კომისია იღებს გადაწყვეტილებას.

მუხლი 9. გამარჯვებულის გამოვლენა და ხელშეკრულების გაფორმება

1. გამარჯვებულად გამოცხადდება ის მონაწილე, რომელიც კომისიას შესთავაზებს, სხვებთან შედარებით, უკეთეს პირობებს დანართი N2-ში მოთხოვნილ პირობებთან დაკავშირებით.

2. კომისიის სხდომებზე და კონკურსის შედეგებზე, არა უგვიანეს 3 დღისა, დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა დამსწრე წევრი და კომისიის სხდომის მდივანი.

3. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, თუ ხმები გაიყო, მაშინ გადამწყვეტი ხმის უფლებით სარგებლობს კომისიის თავმჯდომარე. კომისიის წევრს, რომელსაც განსხვავებული მოსაზრება გააჩნია კომისიის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, შეუძლია გამოთქვას კომისიის სხდომაზე, რომელიც აისახება კომისიის საოქმო გადაწყვეტილებაში. კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერს ყველა კომისიის წევრი.

4. კონკურსზე საუკეთესო წინადადების წარმომდგენი ბანკის გამოვლენის შესახებ კომისიის სხდომის ოქმის შედგენიდან, არაუგვიანეს 2 დღისა, საკონკურსო კომისია რეკომენდაციით მიმართავს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, რომელიც არაუგვიანეს 10 დღისა იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

5. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით გამოვლენილ გამარჯვებულთან, არაუგვიანეს 14 დღისა, უნდა გაფორმდეს საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება.

6. თუ საკონკურსო კომისიის მიერ ვერ იქნება გამოვლენილი საუკეთესო წინადადების წარმომდგენი ან კონკურსში არცერთმა პრეტენდენტმა არ მიიღო მონაწილეობა ან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ არ იქნა გაზიარებული კომისიის რეკომენდაცია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით შესაძლოა გამოცხადდეს განმეორებითი კონკურსი მომსახურე ბანკის შესარჩევად, ამ წესის შესაბამისად.

7. საკონკურსო კომისიის მიერ გამარჯვებულად გამოვლენილ პრეტენდენტთან ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით, ძირითადი პირობების გათვალისწინებით, შესაძლებელია მოლაპარაკებების გამართვა ხელშეკრულების ხელმოწერამდე.

8. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ. საჯაროდ გამოცახადებაში იგულისხმება შედეგების განთავსება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე: www.tbilisi.gov.ge-ზე.

მუხლი 10. საკონკურსო დოკუმენტების შენახვის წესი

პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, კონკურსის ჩატარებიდან 3 წლის ვადით, ინახება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურში.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

1. წესს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა განკარგულებით, რომელიც ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

2. წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციული სამსახური
საქმის წარმოების განყოფილება
№2

დანართი N2

კონკურსის ძირითადი პირობები

კონკურსის საგანია: *ეროვნული ვალუტის ანგარიშზე არსებულ მიმდინარე ნაშთზე დასარიცხი წლიური საპროცენტო სარგებლის განსაზღვრა.*

გამარჯვებული საბანკო დაწესებულება იღებს ვალდებულებას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს გაუწიოს ხარისხიანი საბანკო მომსახურება წინარე დოკუმენტით გათვალისწინებული მოთხოვნის და დამატებით შემოთავაზებული მომსახურების შესაბამისად.

საბანკო მომსახურება:

1. ანგარიშის გახსნის, ფულადი სახსრების გადარიცხვის, ოვერდრაფტის და სხვა საბანკო ოპერაციები:

მულტისავალუტო ანგარიშების გახსნა - უფასო;

ნაღდი თანხის შემოტანა ანგარიშზე - უფასო;

საბანკო ანგარიშებიდან ნაღდი თანხის გატანა ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში სერვის ცენტრებიდან, ფილიალებიდან და ბანკომატებიდან - უფასო;

თანხის გადარიცხვა ეროვნულ ვალუტაში, როგორც ბანკის სისტემაში, ისე ბანკის სისტემის გარეთ - უფასო;

თანხის გადარიცხვა უცხოურ ვალუტაში, როგორც ბანკის სისტემაში, ისე ბანკის სისტემის გარეთ - უფასო;

მიმდინარე ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში არსებულ ნაშთზე მინიმალური დასარიცხი წლიური სარგებელი არანკლებ - 6.00 პროცენტი.

პროცენტის კაპიტალიზაცია უნდა მოხდეს ყოველთვიურად თვის ბოლო რიცხვში.

ვალუტის დაზიანებული კუპიურის შეცვლა - უფასო;

ვალუტის გაცვლითი ოპერაციები (კონვერტაციის) საკომისიო - 0 %;

ამონაწერის მიღება - უფასო;

დაუმოწმებელი დოკუმენტური აკრედიტივის გახსნა - უფასო.

2. დისტანციური საბანკო მომსახურება:

ინტერნეტ ბანკის პროგრამაში რეგისტრაცია - უფასო;

ინტერნეტ ბანკის პროგრამაში მომსახურება - უფასო;

ინტერნეტ ბანკით აქტიური ოპერაციების წარმოება - უფასო;

ინტერნეტ ბანკით მერიის პასიური ოპერაციების წარმოება - უფასო;

თანამშრომელთათვის SMS ბანკი: რეგისტრაცია - უფასო;

თანამშრომელთათვის SMS ბანკი: მომსახურება - უფასო;

ონლაინ გადახდები: რეგისტრაცია - უფასო;

ონლაინ გადახდები: მომსახურება - უფასო;

მუდმივი საგადასახადო დავალება: რეგისტრაცია - უფასო;

მუდმივი საგადასახადო დავალება: მომსახურება - უფასო;

ავტომატური გადახდები: რეგისტრაცია - უფასო;

ავტომატური გადახდები: მომსახურება - უფასო.

3. თანამშრომელთა სახელფასო პროგრამით მომსახურება:

საერთაშორისო პლასტიკური ბარათის გადაცემა თანამშრომელთათვის:

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ
ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲐ
№2

- რიგით თანამშრომლებს - VISA/MASTERCARD CLASSIC;

- სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებს, გამგებლებსა და საკრებულოს წევრებს - VISA/MASTERCARD GOLD;

- მერს და ვიცე-მერებს - VISA/MASTERCARD PLATINUM;

ბანკთან შეთანხმებით შესაძლოა ცალკეულ თანამშრომლებს დაუმზადდეთ ზემოთ აღნიშნული ან/და განხვავებული ტიპის პლასტიკური ბარათები.

ანგარიშის გახსნა - უფასო;

პლასტიკური ბარათის მოქმედების ვადა არანაკლებ - 2 წელი;

პლასტიკური ბარათის დამზადებისა და მომსახურების ღირებულება - უფასო;

მინიმალური ნაშთი არ მოითხოვება;

ბარათის დამზადება ვადის გასვლის შემდეგ - უფასო;

დამატებითი ანგარიშის ვალუტა (ეროვნული ვალუტა, აშშ დოლარი, ევრო, ბრიტანეთის ფუნტსტერლინგი);

მინიმალური ნაშთი - არ მოეთხოვება;

განაღდების დღიური ლიმიტი: ბანკომატიდან - არანაკლებ 1500 ლარისა, ხოლო სერვის ცენტრიდან - ულიმიტო;

ყიდვის (ხარჯვის) დღიური ლიმიტი - ლიმიტის გარეშე;

განაღდების საკომისიო საკუთარ ბანკომატებში - უფასო;

განაღდების საკომისიო საკუთარ სერვის ცენტრებში - უფასო;

განაღდების საკომისიო პარტნიორი ბანკების ბანკომატებში - უფასო;

განაღდების საკომისიო სხვა ბანკის ბანკომატებში არაუმეტეს - 2 %, მინ. 3 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში;

განაღდების საკომისიო POS ტერმინალებისა და იმპრინტერების მეშვეობით - უფასო;

განაღდების ლიმიტი POS ტერმინალებისა და იმპრინტერების მეშვეობით - უფასო;

ლოკალურ სტოპ-სიაში შეტანა - უფასო;

საერთაშორისო სტოპ-სიაში შეტანა - 20 აშშ დოლარი;

დაკარგული ან დაზიანებული ბარათის აღდგენა - უფასო;

საკომისიო განაკვეთი სავაჭრო ობიექტებში - საკომისიოს გარეშე;

ანგარიშის მომსახურების ყოველთვიური საკომისიო - უფასო;

სხვა მომსახურება - სატელეფონო ცენტრის მომსახურება - 24 საათის განმავლობაში.

4. სხვა პირობები:

კონკურსში გამარჯვებულის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 14 დღისა გამარჯვებული აფორმებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტთან ხელშეკრულებას საბანკო მომსახურების შესახებ;

გამარჯვებული იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს ორი თვისა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შერჩეულ ადგილებზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, განათავსოს 15 ბანკომატი.

გამარჯვებულმა უნდა განათავსოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სერვის ცენტრი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში (ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7).

ხელშეკრულების მოქმედების ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან განისაზღვება ერთი წლის ვადით. ხელშეკრულება ჩაითვლება გაგრძელებულად იმავე პირობებით, თუ მხარეები არანაკლებ ერთი თვით ადრე არ განაცხადებენ ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელი იქნება:

- მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;
- ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით;
- კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

საქმის წარმოების განყოფილება №2

პრეტენდენტებმა ძირითადი პირობებთან ერთად, დამატებით უნდა წარმოადგინოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისათვის შესათავაზემელი მომსახურების პაკეტი, რომელიც განხილულ იქნება კომისიის მიერ.

გამარჯვებული იღებს ვალდებულებას იგივე საბანკო მომსახურების პირობებით გაუწიოს მომსახურება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირებს, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებსა და ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ 50 %-ზე მეტი წილილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, მათ მიერ სურვილის გამოთქმის შემთხვევაში.

ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის
საჯარო
წარმოების
მანყოფილება
№2

დანართი N5

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მომსახურე
ბანკის შესარჩევი საკონკურსო კომისიის
თავმჯდომარეს ბატონ ლევან თევზაიას

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(მომსახურე ბანკის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის შესახებ)

გთხოვთ, მოგვცეთ უფლება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მომსახურე ბანკის შესარჩევ კონკურსში, რომელიც გაიმართება 2015 წლის 29 აპრილს, მონაწილეობა მიიღოს

სს _____

(ბანკის დასახელება)

საიდენტიფიკაციო კოდი: _____; ტელ: _____;

მისამართი: _____;

ელ-მისამართი: _____;

საბანკო დაწესებულების უფლებამოსილი
პირი (წარმომადგენელი): _____

(სახელი და გვარი)

საკონტაქტო ტელ: _____; ელ-ფოსტა: _____

_____

(წარმომადგენელის შემთხვევაში დამადასტურებელი დოკუმენტი, თანამდებობა და საკონტაქტო მონაცემები)

ხელმოწერა: თარიღი:

დანართი N6

განცხადება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 16 აპრილის N16.01.440 განკარგულების თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა აცხადებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მომსახურე ბანკის შესარჩევ კონკურსს.

კონკურსის საგანია: *ეროვნული ვალუტის ანგარიშზე არსებულ მიმდინარე ნაშთზე დასარიცხი წლიური საპროცენტო სარგებლის განსაზღვრა.*

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ საბანკო დაწესებულებებმა, რომლებიც განაცხადის შესაბამისად საკონკურსო კომისიის სამდივნოში წარმოადგენენ კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადებას და საკონკურსო დოკუმენტაციას.

1. კონკურსის ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2015 წლის 29 აპრილი 15:00 საათი. კონკურსის ჩატარების ადგილია: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობა, მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7, მე-20 სართული.

2. კონკურსის ზოგადი პირობები:

ა) საკონკურსო განცხადებისა და დოკუმენტაციის მიღება განხორციელდება 2015 წლის 20 აპრილიდან 2015 წლის 28 აპრილის 18:00 საათამდე. საბუთების მიღება საკონკურსო კომისიის სამდივნოში იწარმოებს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 09:30-დან 18:00 საათამდე, შესვენება 13:00 საათიდან 14:00 საათამდე. დაგვიანებით შემოსული განცხადება არ მიიღება.

ბ) პრეტენდენტის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ბ.ა) ეროვნული ბანკის მიერ გაცემული საბანკო საქმიანობის შესახებ ლიცენზიის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

ბ.ბ) ცნობა შესაბამისი დაწესებულებიდან, რომ საბანკო დაწესებულება არ იმყოფება დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმში;

ბ.გ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

ბ.დ) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ;

ბ.ე) საკონკურსო პირობების შესრულების უზრუნველყოფის ორთვიანი საბანკო გარანტია 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარის ოდენობით;

ბ.ვ) საბანკო დაწესებულების უფლებამოსილი პირის ან მისი წარმომადგენლის მონაწილეობის შემთხვევაში, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ.ზ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს კონკურსის ძირითადი პირობებს (დანართი N2), უნდა იყოს დალუქული ფორმით. პრეტენდენტი შეზღუდული არ არის ძირითადი პირობებით დადგენილზე უკეთესი პირობა შესთავაზოს საკონკურსო კომისიას. პრეტენდენტს არ აქვს უფლება ძირითადი პირობები გააუარესოს.

გ) პრეტენდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის (დედანის) სახით ან ნოტარიულად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დამოწმებული ასლის სახით.

დ) პრეტენდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო ენაზე. უცხოურ ენაზე შესრულებული დოკუმენტი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

ე) პრეტენდენტი კონკურსზე დაიშვება „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საკონკურსო კომისიის სამდივნოში, განცხადებისა და დოკუმენტაციის მიღების ვადაში, სრულად წარმოდგენისა და რეგისტრაციის შემთხვევაში.

ვ) პრეტენდენტი, „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის დაგვიანებით წარმოდგენის შემთხვევაში, კონკურსზე არ დაიშვება;

ზ) კონკურსი ჩატარებულად ჩაითვლება, თუ ერთი მონაწილე მაინც მიიღებს კონკურსში მონაწილეობას.

თ) კონკურსი ჩატარდება ერთ ტურად.

ი) კონკურსის შედეგები გამოცხადდება საჯაროდ - ვებ-გვერდზე - www.tbilisi.gov.ge-ზე.

კ) კონკურსში მონაწილეობისათვის წარსადგენი დოკუმენტების მიღება იწარმოებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში, მისამართზე: ქ. თბილისი. ჟ. შარტავას ქ. N7, მე-12 სართული, ოთახი N9, ტელ: 032 237 82 57 ან 032 237 81 56.

შენიშვნა: პრეტენდენტი სრულიად აგებს პასუხს მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების უტყუარობაზე.

კონკურსის ძირითადი პირობები

კონკურსის საგანია: *ეროვნული ვალუტის ანგარიშზე არსებულ მიმდინარე ნაშთზე დასარიცხი წლიური საპროცენტო სარგებლის განსაზღვრა.*

გამარჯვებული საბანკო დაწესებულება იღებს ვალდებულებას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს გაუწიოს ხარისხიანი საბანკო მომსახურება წინარე დოკუმენტით გათვალისწინებული მოთხოვნის და დამატებით შემოთავაზებული მომსახურების შესაბამისად.

საბანკო მომსახურება:

1. ანგარიშის გახსნის, ფულადი სახსრების გადარიცხვის, ოვერდრაფტის და სხვა საბანკო ოპერაციები:

მულტისავალუტო ანგარიშების გახსნა - უფასო;

ნაღდი თანხის შემოტანა ანგარიშზე - უფასო;

საბანკო ანგარიშებიდან ნაღდი თანხის გატანა ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში სერვის ცენტრებიდან, ფილიალებიდან და ბანკომატებიდან - უფასო;

თანხის გადარიცხვა ეროვნულ ვალუტაში, როგორც ბანკის სისტემაში, ისე ბანკის სისტემის გარეთ - უფასო;

თანხის გადარიცხვა უცხოურ ვალუტაში, როგორც ბანკის სისტემაში, ისე ბანკის სისტემის გარეთ - უფასო;

მიმდინარე ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში არსებულ ნაშთზე მინიმალური დასარიცხი წლიური სარგებელი არანკლებ - 6.00 პროცენტი.

პროცენტის კაპიტალიზაცია უნდა მოხდეს ყოველთვიურად თვის ბოლო რიცხვში;

ვალუტის დაზიანებული კუპიურის შეცვლა - უფასო;

ვალუტის გაცვლითი ოპერაციები (კონვერტაციის) საკომისიო - 0 %;

ამონაწერის მიღება - უფასო;

დაუმოწმებელი დოკუმენტური აკრედიტივის გახსნა - უფასო.

2. დისტანციური საბანკო მომსახურება:

ინტერნეტ ბანკის პროგრამაში რეგისტრაცია - უფასო;

ინტერნეტ ბანკის პროგრამაში მომსახურება - უფასო;

ინტერნეტ ბანკით აქტიური ოპერაციების წარმოება - უფასო;

თბილისის მერიის ადმინისტრაციის საქმის წარმოების განყოფილება №2

ინტერნეტ ბანკით მერიის პასიური ოპერაციების წარმოება - უფასო;
თანამშრომელთათვის SMS ბანკი: რეგისტრაცია - უფასო;
თანამშრომელთათვის SMS ბანკი: მომსახურება - უფასო;
ონლაინ გადახდები: რეგისტრაცია - უფასო;
ონლაინ გადახდები: მომსახურება - უფასო;
მუდმივი საგადასახადო დავალება: რეგისტრაცია - უფასო;
მუდმივი საგადასახადო დავალება: მომსახურება - უფასო;
ავტომატური გადახდები: რეგისტრაცია - უფასო;
ავტომატური გადახდები: მომსახურება - უფასო.

3. თანამშრომელთა სახელფასო პროგრამით მომსახურება:

საერთაშორისო პლასტიკური ბარათის გადაცემა თანამშრომელთათვის:

- რიგით თანამშრომლებს - VISA/MASTERCARD CLASSIC;

- სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებს, გამგებლებსა და საკრებულოს წევრებს - VISA/MASTERCARD GOLD;

- მერს და ვიცე-მერებს - VISA/MASTERCARD PLATINUM;

ბანკთან შეთანხმებით შესაძლოა ცალკეულ თანამშრომლებს დაუმზადდეთ ზემოთ აღნიშნული ან/და განხვავებული ტიპის პლასტიკური ბარათები.

ანგარიშის გახსნა - უფასო;
პლასტიკური ბარათის მოქმედების ვადა არანაკლებ - 2 წელი;
პლასტიკური ბარათის დამზადებისა და მომსახურების ღირებულება - უფასო;
მინიმალური ნაშთი არ მოითხოვება;
ბარათის დამზადება ვადის გასვლის შემდეგ - უფასო;
დამატებითი ანგარიშის ვალუტა (ეროვნული ვალუტა, აშშ დოლარი, ევრო, ბრიტანეთის ფუნტსტერლინგი);
მინიმალური ნაშთი - არ მოეთხოვება;
განაღდების დღიური ლიმიტი: ბანკომატიდან - არანაკლებ 1500 ლარისა, ხოლო სერვის ცენტრიდან - ულიმიტო;
ყიდვის (ხარჯვის) დღიური ლიმიტი - ლიმიტის გარეშე;
განაღდების საკომისიო საკუთარ ბანკომატებში - უფასო;
განაღდების საკომისიო საკუთარ სერვის ცენტრებში - უფასო;
განაღდების საკომისიო პარტნიორი ბანკების ბანკომატებში - უფასო;
განაღდების საკომისიო სხვა ბანკის ბანკომატებში არაუმეტეს - 2 %, მინ. 3 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში;
განაღდების საკომისიო POS ტერმინალებისა და იმპრინტერების მეშვეობით - უფასო;
განაღდების ლიმიტი POS ტერმინალებისა და იმპრინტერების მეშვეობით - უფასო;
ლოკალურ სტოპ-სიაში შეტანა - უფასო;
საერთაშორისო სტოპ-სიაში შეტანა - 20 აშშ დოლარი;
დაკარგული ან დაზიანებული ბარათის აღდგენა - უფასო;
საკომისიო განაკვეთი სავაჭრო ობიექტებში - საკომისიოს გარეშე;
ანგარიშის მომსახურების ყოველთვიური საკომისიო - უფასო;
სხვა მომსახურება - სატელეფონო ცენტრის მომსახურება - 24 საათის განმავლობაში.

4. სხვა პირობები:

კონკურსში გამარჯვებულის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 14 დღისა გამარჯვებული აფორმებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტთან ხელშეკრულებას საბანკო მომსახურების შესახებ;

საქმის წარმოების განყოფილება №2

გამარჯვებული იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს ორი თვისა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შერჩეულ ადგილებზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, განათავსოს 15 ბანკომატი.

გამარჯვებულმა უნდა განათავსოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სერვის ცენტრი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში (ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7).

ხელშეკრულების მოქმედების ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან განისაზღვება ერთი წლის ვადით. ხელშეკრულება ჩაითვლება გაგრძელებულად იმავე პირობებით, თუ მხარეები არანაკლებ ერთი თვით ადრე არ განაცხადებენ ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელი იქნება:

- მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;
- ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით;
- კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

პრეტენდენტებმა ძირითადი პირობებთან ერთად, დამატებით უნდა წარმოადგინოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისათვის შესათავაზემელი მომსახურების პაკეტი, რომელიც განხილულ იქნება კომისიის მიერ.

გამარჯვებული იღებს ვალდებულებას იგივე საბანკო მომსახურების პირობებით გაუწიოს მომსახურება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირებს, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებსა და ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ 50 %-ზე მეტი წილილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, მათ მიერ სურვილის გამოთქმის შემთხვევაში.

საჯარო
ნარმოების
განყოფილება
№2